№ 5. 8 იანვარი, ქვირა. 1866—1884 8 იანვარი, ქვირა. № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა. . .	9 მან.	სამის თვისა. . .	3 მან.
ექვსის თვისა	5 მან.	ერთის თვისა. . .	1 მან.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს აგზორს.

გამოდის ამ ოთხ დღე ოთხშაბათის გარდა.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა

ამ 1884 წლისათვის გაზეთს

დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვასო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ადალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»*.

ფასი ხელის-მოწერისა:

წლით (12 თვით)	— — 9 მან.	6 თვით	— — 5 მან.
11 თვით	— — 8 მ. და 50 კ.	5 თვით	— — 4 მ. და 50 კ.
10 თვით	— — 8 მან.	4 თვით	— — 4 მან.
9 თვით	— — 7 მ. და 50 კ.	3 თვით	— — 3 მან.
8 თვით	— — 7 მან.	2 თვით	— — 2 მან.
7 თვით	— — 6 მან.	1 თვით	— — 1 მან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრუნის თეატრი.

დღეს, 8 იანვარს

ბენეფისი

ნ. მ. თოდაშვილისა

ქართული დრამატიული დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

პირველად

I

სევილიელი დალაქი

ანუ

ამაო გაფრთხილება

კომედია 4 მოქმედ. ბ. ბომარშესი, თარგმან. ფრანცუზ. დ. ᲬᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐ.

II

დილა ქორწილის შემდეგ

ვოდევილი 1 მოქმ. ბ. მოჩხუბარიძისა.

III

დივერტისმენტი

ლეკური, ჩეჩნური, აბხაზური, მეგრული და კინტოური.

დასაწყისი 8 საათზედ. (3—3)

დიალექტიკა და სიმართლე.

თბილისი, 8 იანვარს.

მთელი ევროპერთელა შინაური მიმოხილვა «Иверіის» უკანასკნელი ნომრისა მონდომებია გამტყუნებას ერთი პატარა წერილისას, რომელიც «დროების» ორს ნომერში იყო დაბეჭდილი საათურით: «რა მიზეზია?».

მკითხველს კარგად უნდა ახსოვდეს ჩვენი წერილის შინაარსი და მიზანი. ჩვენ გულწრფელად ვაღიარებდით «წერა-კითხვის საზოგადოების» მცირე ნაყოფიერებას და უმთავრესს ბრალსა ვსდებდით ბიუროკრატიულს წესსა, რომელიც თავდაპირველად დამკვიდრდა ამ საზოგადოების საქმეთა წარმოებაში, რომლის წყალობით ბევრი თაბახი ქაღალდი დაიწერა, ბევრი კალამი გაცვდა, ბევრი მელანი დაიღვარა და საქმე კი ძალიან ნაკლებად გაკეთდა და კეთდება-თქო. ჩვენ ვამბობდით, რომ საქმის ცოცხლად წაყვანა არ შეუძლიან გამგეობას, რომელიც თბილისში იმყოფება და მარტო მცირე კანცელარიული სიტყვით მოქმედებს პროვინციებზედ, და ვურჩევდით, რომ ცოცხალი სიტყვით ემოქმედნა, ადგილობრივი თანხრობა, ადგილობრივი სარისტა გამოეწვია, დაეარსებინა საქართველოს ყველა კუთხეში თავისი განყოფილება, ანუ აგენტურა, რომელიც პირ-და-პირი სიტყვით, უშუამავლოდ იმოქმედებდა ადგილობრივ საზოგადოებაზედ, განაძლიერებდა თანაგრძნობას მის დედა-აზრისადმი და განათლების საქმეს ნამდვილს სამსახურს გაუწევდა... ჩვენი აზრი ამ საგნის შესახებ ჯერ კიდევ არ იყო გათავებული ერთს წერილში. ჩვენ შემდეგში ვაპირობდით ცალკე წერილში მოგველაპარაკნა განყოფილებათა აგენტურათა ორგანიზაციაზედ, მოწყობაზედ, მათს უფლებაზედ და ვალდებულებაზედ და სხვათა შორის უნდა გამოგვეთქვა ის აზრი, რომ განყოფილებათა წევრნი პირველში თბილელ ცენტრალურ გამგეობისაგან იქმნებიან აღმოჩრჩეულნი და შემდეგში კი, როდესაც ეს ადგილობრივი განყოფილებანი თავის მაზრაში «საზოგადოების» წევრთა რიცხვს აიყვანენ ორმოცდა-ათამდის (ეს რიცხვი წესდებულების ძალით საჭიროა, რომ შესდგეს საზოგადო ყრილობა), მაშინ თვითონ ადგილობრივი წევრნი ამოირჩევენ განყოფილების წევრებსა.

ბინაკი ჩვენი წერილი წაიკითხა, ყველა თანახმა იყო მისი დედა-აზრისა და სასარგებლოდ სთვლიდა მის სისრულეში მოყვანასა. რა საკვირველია, ადვილად შესაძლებელი იყო ჩვენი წერილის აზრის ზეფრო მომეტებული განვითარება და შეესება; მაგრამ მის წინააღმდეგ მკაცრს გამოლაშქრებას კი არ მოველოდით.

არ მოველოდით; მაგრამ მოულოდნელი კი მოხდა. შინაური მიმოხილვის ავტორმა ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ დედა-აზრი ჩვენი წერილისა გაეფარწყლებინა და წინ

«დროების» ტელეგრაფი, 8 იანვარი.

ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲗᲐ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲒᲒᲘᲕᲘᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲔᲠᲥᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ «ᲗᲔᲠᲒᲘ». ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲓᲐᲪ ᲓᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲗᲔᲠᲒᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲣᲓᲒᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ ᲠᲐᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲐᲛᲗᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔᲓ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲚᲝᲜᲘᲔᲠᲔᲡᲘᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲠᲣᲚᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲙᲕᲘᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲡ ᲡᲐᲥᲛᲐᲠᲘᲡᲐᲓ ᲨᲔᲐᲙᲕᲔᲪᲐ ᲤᲠᲗᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲓᲐᲣᲜᲓᲝᲑᲔᲚᲛᲐ ᲥᲐᲛᲗᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲛ, ᲓᲐ «ᲗᲔᲠᲒᲘ» ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲐ ᲐᲠᲐᲛᲪᲗᲣ ᲪᲝᲢᲐᲗᲘ ᲓᲐᲬᲧᲣᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲠᲣᲚᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲧᲣᲩᲓᲐ, ᲩᲐᲩᲣᲛᲓᲐ, ᲛᲘᲡᲪᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲫᲚᲐᲣᲜᲔᲑᲣᲠᲡ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝᲓ ᲗᲔᲠᲒᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲣᲓᲒᲠᲝᲛᲔᲚ ᲛᲝᲮᲔᲚᲔᲗᲐ. ᲩᲐᲘᲬᲧᲘᲢᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲛᲐ ᲮᲛᲐ ᲓᲐ ᲔᲮᲚᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲣᲧᲣᲠᲗ, ᲠᲐ ᲜᲐᲘᲠᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲓᲔᲑᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲚᲨᲘ, ᲠᲐ ᲜᲐᲘᲠᲘ ᲤᲐᲮᲘᲗ ᲛᲝᲠᲗᲐᲕᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲖᲐᲠᲓᲐᲡᲐᲪᲔᲛᲡ ᲮᲝᲠᲝᲡ ᲮᲡᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲒᲐᲛᲒᲜᲘ ᲮᲡᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡᲐ.

ᲩᲔᲛᲛᲐ ᲚᲛᲔᲠᲗᲛᲐ, ᲓᲐᲣᲨᲚᲘᲡ-ᲚᲐ ᲕᲘᲜᲛᲔ, ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲒᲔᲑᲐ-ᲚᲐ ᲬᲘᲜ ᲠᲐᲛᲔ ᲗᲣ! ᲗᲥᲕᲔᲜᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲘᲙᲕᲓᲔᲗ. ᲒᲖᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ, ᲮᲡᲜᲘᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ. ᲬᲐᲓᲘᲚᲘ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ, ᲒᲐᲣᲛᲐᲫᲚᲐᲠᲘ. ᲗᲐᲕᲘᲛᲝᲥᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲣᲡᲐᲖᲚᲕᲠᲔᲚᲘ... ᲗᲣ ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲡ ᲪᲝᲢᲐᲗᲘ ᲒᲣᲚᲡ ᲣᲚᲠᲚᲜᲘᲓᲐ, ᲔᲮᲚᲐ ᲮᲝᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲚᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲨᲔᲣᲠᲧᲔᲕᲡ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔᲡ. ᲐᲥᲐᲛᲓᲘᲡ ᲗᲣ ᲔᲙᲐᲚᲘᲕᲘᲗᲐ ᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ «ᲗᲔᲠᲒᲘ», ᲔᲮᲚᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲨᲤᲝᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲗᲔᲠᲒᲘ-ᲚᲐ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲩᲰᲣᲑ-ᲡᲐᲝᲛᲠᲐᲓ. ᲛᲔᲠᲔ, ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲠᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜ, ᲠᲐᲪ ᲒᲘᲜᲓ ᲒᲣᲚ-ᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲯᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ. ᲘᲛᲘᲡᲘ ᲔᲜᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲛᲗᲘᲣᲚᲔᲑᲡ ᲔᲡᲛᲘᲗ...

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘ «ᲗᲔᲠᲒᲘ» ᲓᲐᲡᲓᲣᲛᲓᲐ, ᲓᲐ ᲗᲔᲠᲒᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲛᲝᲐᲙᲚᲓᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲛᲔᲢᲘᲩᲐᲠᲐ ᲛᲢᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲠᲩᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲘᲚᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲛᲝᲮᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲓᲠᲘᲐ. ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲘᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲛᲝᲮᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲓᲠᲘᲐ. ᲠᲐᲪ ᲒᲘᲜᲓ ᲤᲠᲗᲮᲐᲚᲘ, ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲤᲣᲗᲮᲘᲚᲘ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ

ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲘᲚᲘ «ᲗᲔᲠᲒᲘ», ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲐᲐᲧᲝᲚᲐ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲚ ᲘᲛᲐᲖᲔᲓᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲐ. ᲛᲝᲓᲘ ᲨᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲘᲗᲛᲘᲜᲔ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲡ ᲙᲣᲜᲭᲣᲚᲨᲘ. ᲛᲔᲠᲔ ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲛ ᲛᲘᲧᲠᲣᲔᲑᲣᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲐᲡᲐᲛᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲘ ᲘᲛᲝᲕᲜᲐ, ᲔᲡ ᲐᲠᲐ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲐ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲑᲔᲘᲙᲕᲘᲠᲡ, ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠ ᲨᲔᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲜᲐ ᲒᲫᲔᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ!..

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲒᲐᲔᲬᲧᲝᲑᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲔᲨᲘ ᲗᲣ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲓᲔᲑᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲠᲘᲕ ᲨᲕᲔᲚᲐ ᲐᲠᲡᲐᲘᲓᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ.

***

ᲰᲐᲘ, ᲒᲘᲓᲔ, ᲘᲡᲔᲕ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ «ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ». ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲛᲒᲝᲜᲔ, ᲠᲑᲘᲚᲘ, ᲩᲩᲘᲚᲘ, ᲣᲤᲮᲝ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲮᲔᲚ-ᲥᲕᲔᲘᲗᲘ! ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲘ «ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲡ» ᲨᲔᲭᲰᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲣᲚᲡ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲘᲡᲐᲜᲡᲔᲠᲓᲡ, ᲛᲔᲠᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲘᲨᲘᲡ ᲣᲔᲙᲚᲝ ᲕᲐᲠᲓᲡ. ᲠᲐᲪ ᲒᲘᲜᲓ ᲤᲠᲗᲮᲐᲚᲘ, ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲤᲣᲗᲮᲘᲚᲘ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ

ᲨᲔᲒᲐᲛᲘᲜᲔᲑᲡ ᲮᲐᲕᲔᲠᲓᲘᲡ «ᲤᲔᲤᲔᲑᲘᲐᲜᲘ» «ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ», ᲛᲘᲮᲕᲐᲚ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲛᲝᲰᲙᲠᲔᲤ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲡᲐᲙᲠᲔᲤᲘ ᲒᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑ: ᲕᲘᲜ ᲠᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚ-ᲨᲔᲣᲬᲧᲓᲔᲜᲔᲚᲡ ᲙᲘᲑᲔᲖᲔᲓ, ᲕᲘᲜ ᲐᲘᲬᲘᲐ ᲛᲐᲚᲚᲐ, ᲕᲘᲜ ᲓᲐᲔᲨᲕᲐ ᲥᲕᲔᲡᲙᲜᲔᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲕᲘᲡ ᲒᲐᲣᲚᲘᲛᲐ ᲛᲐᲪᲓᲣᲠᲛᲐ ᲛᲖᲔᲛ, ᲕᲘᲜ ᲨᲔᲘᲑᲝᲭᲐ ᲙᲣᲙᲣᲜᲐᲗᲛᲐ ᲦᲐᲛᲔᲛ... ᲗᲣ ᲒᲐᲛᲝᲮᲕᲔᲚ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲛ, ᲨᲔᲜᲡ «ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲨᲘᲕᲔ» ᲐᲛᲝᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕ ᲮᲔᲚᲥᲕᲔᲘᲗᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲓᲘᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ,—ᲘᲒᲔᲛᲔᲑ ᲡᲘᲐᲛᲔᲡ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲝᲑ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲡᲐᲓᲘᲚᲔᲕᲔᲡ ᲫᲘᲚᲡᲐ...

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲐᲣᲨᲤᲝᲗᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲰᲡᲣᲠᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ. ᲘᲧᲐᲕ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲓᲐᲣᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲔᲚᲝᲗ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝᲗ, ᲓᲐ ᲣᲛᲖᲘᲠᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲢᲠᲘᲐᲚᲡ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ. ᲫᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲛᲝᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ, ᲐᲗᲐᲡᲘ ᲮᲝᲚᲔᲠᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲐ ᲐᲡᲢᲧᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲒᲐᲛᲣᲡᲘᲠᲐᲡ, «ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ» ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲐ— ᲛᲣᲑᲚᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲜᲫᲠᲔᲕᲡ; ᲒᲘᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲡ ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲣᲔᲑᲐᲠᲘ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ, ᲒᲘᲜᲓ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡᲐᲪ ᲛᲝᲣᲮᲔᲠᲮᲝᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადალობებოდა მის სისრულეში მოყვანასა. ჩვენ ვერ გამოვუდგებით ყველა გასამტყუნებელი აზრების გამტყუნებასა, რადგანაც ამისათვის დაგვჭირდებოდა ერთი ორად და სამად უფრო დიდი წერილი, ვიდრე არის თვით შინაური მიმოხილვა. ჩვენ მხოლოდ დავანახებთ მკითხველს საზოგადოებას, თუ რავდენად უსაფუძვლონიშარიან დედა-აზრები, უმთავრესნი მსჯელობანი შინაური მიმოხილველისა.

რათა მკითხველის თვალში გააქარწყლოს ჩვენი აზრი აგენტურების დაარსებაზედ, მიმომხილველი მოიხსენებს სპარსეთს და ნაპოლეონ მესამეს და ამბობს, რომ იგინიც თავისი აგენტების შუამავლობით მოქმედებდენო. ეს მაგალითი ერთი ბერის საბუთს მოგვაგონებს, რომელიც სწავლის და მეცნიერების მავნებლობას ამტკიცებდა იმითი, რომ ბეკონი დიდი სწავლული იყო, მაგრამ ამასთან დიდი არამზადაკაი. და იმას კი ივიწყებდა, რომ დიდმა სწავლამ მრავალი ადამიანი დიდ მოქალაქედ და მაღალი ზნის კაცად გარდააქცია. მიმომხილველმა კარგად იცის, რომ აგენტებისავე საშუალებით მოქმედობდენ ის გმირნი, რომელთაც წარსული საუკუნის დამლევს საფრანგეთი აიყვანეს საკვირველს სიმაღლემდის და მისცეს ისეთი სიმძლავრე, რომ მთელი შეკრებული ევროპა ვერასფერს გახდა ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ისიც კარგად იცის, რომ თვით მაცხოვარმა თავისი სახარება მოჰფინა დედა-მიწის ზურგზედ აგენტების ქადაგებით, რომელთაც ჩვენ მოციქულებს ვეძახით. იცის აგრეთვე, რომ «დაბადების» საზოგადოება, დაარსებული ინგლისში, ლონდონიდან ჰფენს მთელი დედა-მიწის ზურგზედ თავის აგენტებსა და აუარებელს რიცხვს საღმრთო წიგნებისას ავრცელებს ყველა ქვეყნებში და თვითონ ჩვენ საქართველოშიაც; მაგრამ ამ მაგალითებს რად მოიხსენებს, როდესაც იგი მიისწრაფის პოლემიკური გამარჯვებისაკენ.

ამ პოლემიკურს მიზანს ისე გაუტაცნია ავტორი, რომ მას ავიწყდება, ვისი გამოსარჩლებისათვის აუღია კალამი და ძლიერ ამდაბლებს გამგეობას, რომელიც მას უნდა დაეფარა საფუძვლიანი საყვედურისაგან. იგი ერთს ფიცარზედ აყენებს ამ გამგეობას ნაპოლეონს მესამესთან, განსხვავებას არა ხედავს მათ აგენტების მოქმედებას შუა და ამბობს, რომ გინდა ნაპოლეონის აგენტს უწველია საზოგადოება, გინდა წერა-კირხვის საზოგადოებისას, ორივ ერთიაო. მაგრამ რა მზგავსებაა ნაპოლეონ პირველის შუა, და წერა-კითხვის მართველობის შორის, რომელსაც საზოგადოება ცოტას ხნობით ირჩევს, რომელიც უანგაროდ ემსახურება იმისთანა წმინდა საქმეს, როგორიც არის ხალხის განათლება და რომელსაც არავითარი პიროვანი ინტერესი არ შეიძლება ჰქონდეს საქმის მართვაში? ავტორს დავიწყებია ერთი ელემენტარული აზრი, სახელდობ ისა, რომ აგენტობა, როგორც ნიჭი, ნეიტრალური ძალაა, რომელიც ძვირფასია, თუ ქვეყნის სიკეთეს ემსახურება, და მავნებელია, თუ ბოროტს მიზახს მისდევს. ძატკოვი მეტად ნიჭიერი კაცია; მაგრამ ამის გამოვის შეუძლიან დაიწყოს ქადაგება ნიჭის უსარგებლობაზედ? აგენტობაზედაც ესევე უნდა ითქვას. პავლე მოციქული უბრალო აგენტი იყო მაცხოვრისა; მაგრამ დიდი, აუარებელი სიკეთე კი დათესა...

«წერა-კითხვის საზოგადოების საქმე მიდის ზანტად, ცუდად, იმიტომ კი არაო, რომ გამგეობა ვერ იჩენს ჯეროვანს სიმარჯვეს დამოხერხებასაო, არამედ იმიტომაო, რომ ჩვენი ქვეყანა არ არის მომზადებული საზოგადო საქმეების წარმოებისათვისაო, რის გამოისად სხვა საზოგადო დაწესებულებანიც ძლიერ სუსტობენ და ლამის სული ამოუვიდეთო.

მივხედოთ ფაქტებს და ვნახოთ, რავდენად არის ეს აზრი მართალი. ავიღოთ თავად-აზნაურთა საზოგადოება და წერა-კითხვისა და შეავადაროთ. პირველი არის წოდებრივი დაწესებულება, განისაზღვრება მხოლოდ თბილისის გუბერნიით და წევრები ჰყავს მხოლოდ ორმოციოდე კაცი. მეორე საზოგადოება საყოველთაო დაწესებულებაა, შეეხება მთელს ჩვენს ქვეყანასა და წევრები ჰყავს სამასამდის. განა მეორეს ბევრად უფრო მეტი შემოსავალი არ უნდა ჰქონდეს, ვიდრე პირველსა? ნამდვილად კი სრულიად სხვასა ვხედავთ. პირველ საზოგადოებას წელიწადში შემოსდის ორას თუმნამდის*), მეორეს კი ამის ნახევარიც არ შემოსვლია შარშან; პირველის ბალი იძლევა ყოველთვის ასი თუმნიდგან ას სამოც თუმნამდის, მეორესი ოცი თუმნიდგან—ორმოცამდის. ამასთან პირველი საზოგადოება წელიწადში კანცელარიაზედ ხარჯავს ოთხიოდ-ხუთ თუმანსა, მეორეს კი ას თუმნამდე უზის კანცელარია (600 მანეთი საქმის მწარმოებელსა, 300 მანეთი სახლის ქირა და მოსამსახურე და 100 მანეთი საკანცელარიო ხარჯი). რადა ხდება ესა, თუ საზოგადო მიზეზის გარდა, აქ სხვა არაფერი მოქმედობს?

(დასასრული შემდეგ)

*) ბანკის ფულს ანგარიშში არ ვაგდებთ.

შინაური ქრონიკა

ნიმუში ზოგიერთა ჩვენი ქალაქის ხმოსნების... წარსულს სხდომაზედ, როდესაც ასტყდა ლაპარაკი სეკრეტრის ბ. ქანანოვის დათხოვნის ქაღალდზე, ხმოსნებმა, სხვათა შორის, შემდეგი აზრი წარმოსთქვეს:

ხმოს. დამბარძივი. ბ. ქანანოვის აზრს ამტკიცებს ყოველივე ის, რაც მე გავიგონე 28 დეკემბრის სხდომის თაობაზედ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბ. ქანანოვის პროტესტი ისე ცხარედ არის წარმოთქმული, რომ იმის აზრს კი არ ვაკვირდებით და მის მოწინააღმდეგეთ ვაქეზებთ და კვერს ვუკრავთ; ძველი წესები ისევ ხელუხლებელი რჩება და, მაგ., მთელის წლის შემოსავალ-გასავალს ფაცა-ფუცითა ვსინჯავთ.

ხმოს. ისარჯიკი. მართლა რომ შემოსავალ-გასავლის ანგარიში მეტის-მეტის აჩქარებით გაისინჯა.

ხმოს. ხარაზიკი. თქვენ რა იცით, როდესაც თქვენ სხდომაში არ ყოფილხართ?

ხმოს. ისარჯიკი. რა უყოთ მერე, რომ არა ვყოფილვარ.

სიღნაღში ერთს იქაურ «აღას» ი. ლ—ეს დაუბრალებია თავის მოჯამაგირისათვის თავის სმის წლის ქალის გაუპატიურება. თურმე «აღას» მოჯამაგირისა 25 მან. ემართა და დღითი-

---

ქერქში ჩააყენოს, მაინც კრინტს არ დასძრავს, ამიტომ რომ იცის თავისი ადგილი, იცის, რომ, როდესაც სახლი იწვის, ჭკვიანმა კაცმა უნდა ხელი მოითბოს და არა დატრიალდეს რეტიანივით—არიქა, ეგების ვუშველო ვისმეს უბედურობაშიო.

ამიტომაც არის, რომ გაზეთი თავისთვის არხეინად დასეირნობს ჩვენს მხარეში და ცირკულიეითა ტრიალებს ყველა კანცელიარიებში.

***

ეს არის, რომ «იურიდიულ მიმოხილვას» არ ეპიტნავება «ქავკაზი»... არა, არ ეპიტნავება თითონ «ქავკაზი» კი არა, არამედ ისა, რომ «ქავკაზი» ბ. ერისთავის ხელშია და არა ბ. ფრენკელისა, რომელიც თურმე ერთად ერთი ნამდვილი რუსია ამოდენა რუსობაში, როგორც თურმე თითონა სჯერა საწყალსა.

მართლაც, კაცმა უნდა ღვთის წინაშე თქვას, «ქავკაზი» კაი «სინეკურა» არის, ანუ, როგორც ქართველი იტყვის, კაი ლუკმა არის, თქვენმა მზემ, და ბ. ფრენკელსაც რომ ამ ლუკმაზედ მადა მოსდიოდეს, ვითომ რა დასაძრახისია.

იქნება იმიტომაც დასდგომია «იურიდიული მიმოხილვა» «ქავკაზის» რედაქციასა და ხან რა შარებს უდებს, ხან რასა. ესაო, რუსული სიტყვიერება არ იციო, ესაო, რუსული გრამატიკისა არა გაგეგება-რაო. და «ქავკაზის» რედაქციასაც ალბად ასე ესმის «იურიდიული მიმოხილვის» გულის პასუხები, მაგრამ მაინც საქვეყნოდ ხომ ვერ აღვიარებს ამ საჩოთირო საქმეს და თანაც ცოტაოდენი მორიდება კიდევ შერჩენია მკითხველებისა, თუმცა ეს მესამე წელიწადია, რაც ერთისა და იმავე კაცის ხელშია, ყავლი გადის გაზეთის მადლიანის იჯარისა და ამ მესამე წელიწადს არავითარი მორიდება არ არის საჭირო ვიღაც მკითხველების წინაშე, ოლონდ ბატონები მოწყალე თვალით იმზირებოდენ. ჰო, თუმცა მორიდება სრულებით მეტია ამისთანა მოსწრებულს ქამსა, მაგრამ «ქავკაზის» რედაქციას მაინც შერჩენია ცოტაოდენი ნაგლეჯი ამ მორიდებისა და იმართლებს თავს წინაშე «იურიდიული მიმოხილვის» ცილის წამებისა. ჩვენაო რუსულ სიტყვიერებაშიაც დახელოვნებულნი ვართ და გრამატიკაც კარგად გვეყურებაო. აი, თქვენა ხართ, ბბ. «იურიდიული მიმოხილვის» წარმომადგენელნო, რომ არც ერთი იცით და არც მეორეო.

რასაკვირველია, ვისთვისმე რომ საინტერესო იყოს ამ ორთა ტოლთა მოძმეთა კინკლაობა, ჩვენ ცოტა ხანს შევდგებოდით იმათი ბაასის საგნებზედ; მაგრამ რადგან მათში მიმდინარეობს მხოლოდ წყალი, რომელზედაც საუბარი არ შეადგენს რასმე საზოგადობრივს სადავი-დარაბოს, ამიტომ ჩვენც მოვარიდოთ მიუჩვეველი ყური ამისთანა უსაქმურს ჩხირკედელაობას.

ეს კი უნდა ვთქვათ, რომ ტკბილი და მეტად მორჩილი «ქავკაზი» ხანდისხან ძალიან გაუტევს რუსულ გრამატიკაში და ეხლანდელს «იურიდიულ მიმოხილვას» თითქმის არცკი ჩამოუვარდება ხოლმე. მაგ., ამ წლის პირველს ნომერში, სადაც «ქავკაზი» თავმდაბლად ატყობინებდა მკითხველებს თავის წარმატებას, მოწინავე წერილში ამბობდა, სხვათა შორის, ამისთანა რუსულს: «съ одной стороны, мы *не только* не можемъ пожаловаться на равнодушіе или несочувствіе публики и, по возростающей подпискѣ на наше изданіе, могли убѣдиться въ возростающей потребности публики въ ежедневной газетѣ. Съ другой стороны» и. т. д. სადაური რუსულია, თუ ღმერთი გწამთ! ანუ, უფრო რომ შესაფერად ესთქვათ, по каковски это! როდესაც იტყვიან წინადადებაში—«не только», უთუოდ მეორე ნახევარი ამ წინადადებისა უნდა დაიწყოს სიტყვითა «но». ბევრი ვეძებეთ ალო-მახლო ეს საცოდავი «но», მაგრამ რა დაგიკარგავთ, რას ეძებ!

მაგრამ ამისთანა ბუჩულები რა საესენებელნი არიან. აი, «ქავკაზის» მართლა სადარდებელი ის არის, რომ თურმე მისი მკითხველების უმრავლესობას ჩინოვნიკობა და კანცელარიები შეადგენენ. ეს მართლა სადარდებელია. იქნება ბევრმა ისიც იდარდოს, რომ «ქავკაზის» სიტყვით, როგორც იმავე მოწინავე წერილიდგანა სჩანს, ჩინოვნიკობა არ შეადგენს ინტელიგენციას. ნაზეთი ამბობს: ჩვენ მარტო ჩინოვნიკები გვკითხულობენ და ინტელიგენცია კი განზედ გვიდგასო. აქამდის ვერ გაგვიგია გაზეთის აზრი. რუსეთში თითქმის მთელი ინტელიგენცია ჩინოვნიკობისაგან არის შემდგარი და რომელი ინტელიგენციაღა უნდა «ქავკაზს», თუ კი ჩინოვნიკობაში მოღებულია, როგორც სანატრელი სტუმარი! იქნება გაზეთს სხვა რამის თქმა ეწადა და, ჩვეულე-

დღე ატყუებდა სხვა-და-სხვა დაპირებით. ბოლოს ილაჯ-გაწყვეტილ მოჯამაგირეს სასამართლოში უჩივლია და ალასაც პასუხის მაგივრად ამისთანა საშინელი რამ დუბრალებია თავის მოჯამაგირისათვის.

ჩვენა გვწერენ, რომ ეს მაგალითი პირველი არ არის სხვა-და-სხვა ცილისწამებით ზოგიერთ სტნალელ «ალებისაგან» მოჯამაგირეების თავიდამ მოშორებისათ.

≈≈ **სომხურს** გაზ. «მეღუში» ვკითხულობთ: არხიმანდრიტს ისაია ასტვაცწატურიანცს, რომელიც ადრე მანჩესტერის სომხური ეკლესიის გამგე იყო, შეუწირავს **5,000** მანათი თბილისის ნერსესის სასულიერო სასწავლებლისათვის, ამ პირობით, რომ ხსენებულმა სასწავლებელმა წელიწადში **350** მანათი აძლიოს მ. ასტვაცწატურიანცს სიკვდილამდე და ამდენივე ფული მისცეს მას სამარხი. ნერსესის სასწავლებელი დათანხმებულა ამ პირობაზედ და შეწირული ფულის სარგებელი გადაუდვია მამა ისაიას სახელის სტიპენდიანტებზედ.

≈≈ **7** მაისს იქნება ამორჩევა უმაღლესი პატრიარქისა ყოველთა სომხეთა. გაზ. «არძაგანქ»-ში დაბეჭდილია თბილისის სომხეთ ეპარქიის უფროსისა თავის ბლაღოჩინებთან ცირკულიარი, რომლითაც ატყობინებს ამოირჩიონ წარმომდგენელნი და გამოგზანონ თბილისში დეპუტატის ასარჩევად. ამ უკანასკნელმა უნდა მიიღოს მონაწილობა კათალიკოზის ამორჩევაში. ამისთანავე ცირკულიარები გაგზავნილია სომხურ ეკლესიათა ყველა ეპარქებში—სპარსეთს, რუსეთს და სათათრეში. წესისა და ჩვეულებისამებრ, თბილისში ყოველს ეკლესიას უნდა ჰყავნდეს ოთხ-ოთხი წარმომადგენელი დეპუტატის ამორჩევაში; ახალციხეს, ახალქალაქს, გორს, ქუთაისს, დუშეთს, სიღნაღს, თელავს, ქუბისს, შულავერს, აგრეთვე მრევლთ: შამადინისას, ყაზახისას, ლორისას და კულპინისას,—ყველა ამ ეკლესიებს ეყოლებათ მხოლოდ თითო წარმომადგენელი. ეს ამორჩეულნი პირნი **24** მარტისათვის თბილისში უნდა იყვნენ, რადგან ამ დღეს უნდა შეიკრიბნენ ვანქის სობოროში და, წირვის შემდეგ, წავიდნენ ეპისკოპოზის სადგურში, სადაც უნდა მოხდეს ეჩმიაძინში გასაგზავნი დეპუტატის ამორჩევა. ეს დეპუტატი იქნება წარმომადგენელი საქართველოს სომხობის ეპარქიისა ეჩმიაძინის შეკრებილებაზედ, რომელმაც უნდა ამოარჩიოს კათალიკოზი მთელის სომხეთისა.

≈≈ როგორც გაზ. «**ახალ მიმოხილვას**» შეუტყვია, კავკასიის მთავრობას განუხილვია შუამდგომლობა, რომ იუსტიციის სამინისტროში დაინიშნოს დროებითი გამგეობა შესახებ მამულების გამიჯვნისა კავკასიაში. ამ გამგეობაში უნდა მოექცეს, რაც კი რამ ჩვენში გამიჯვნის ძალ-ღონე მოიპოვება, აგრეთვე მიწის-მზომავთა სასწავლებელიც. ეს სასწავლებელი უნდა დაარსდეს ნაცვლად იმ კლასებისა, რომლებშიაც ასწავლიან გამიჯვნას და რომელნიც იმყოფებიან კავკავის სამხედრო პროგიმნაზიაში. ნაჩვენები გამგეობა მოითხოვს წელიწადში **288,690** მანათის მომატებას იმაზედ, რაც ეხლა იხარჯება. ასეთი მომატებით იმედი აქვთ გაათავონ მამულების გამიჯვნა ათის წლის განმავალობაში.

რუსეთი

— გაზეთს «Эхо»-ს სწერენ ვარშავიდგან: «1830 წლიდგან მოკიდებული პოლშაში სხვა-და-სხვა დროს შემოღებულ იქმნა რამდენიმე სისტემა განათლებისა. 1831 წელში, აჯანყების მოსპობის შემდეგ, მმართებლობამ საჭიროდ სცნო შევიწროებინა უმაღლესი განათლების გავრცელება პოლშაში. ამის გამო, ვარშავის უნივერსიტეტის გაუქმების შემდეგ, 25 წლის განმავალობაში არ გაუხსნიათ არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი; ამასთანავე თან-და-თან კლებულობდა საშუალო სასწავლებლების რიცხვი, და დაწყებითი განათლებაც ძლიერ დაეცა. ერთი სიტყვით, პოლშაში სწავლა-განათლების საქმე ოც-და-ათის წლის განმავალობაში საზარელს მდგომარეობაში იყო: შედარებით წარსულს დროსთან, განათლება ერთობ დაეცა; ახალი თაობა, აღზრდილი 1830 წლის შემდეგ ძველს თაობაზე ბევრად უფრო უმეცარი იყო; მან მიიღო განსაკუთრებითი მონაწილეობა აჯანყებაში 1863 წელს.

«1862 წელს პოლშაში მოხდა ძირითადი რეფორმა სწავლა-განათლების საქმეში მარკიზ ველიეპოლსკის სისტემის და გვარად; ეს ახალი სისტემა არსებობდა მხოლოდ რამდენიმე წელს. მას შემდეგ 30-ს აგვისტოს 1864 წელს გამოიცა ხელმწიფე იმპერატორის რესკრიპტი შესახებ სწავლა-განათლების საქმის მდგომარეობის გაუმჯობესობისა პოლშაში. რესკრიპტი განსვენებული ხელმწიფე იმპერატორისა უთუოდ ფრიად შესანიშნავი საბუთია; ამისი ძალით, სხვათა შორის, პოლშის ახალ-გაზრდობას მიენიჭა უფლება სამშობლო ენაზე სწავლისა; რესკრიპტს უნდა დაემყარებინა ახალი და სასურველი სისტემა განათლებისა...

«ჩვენ, განაგრძობს ავტორი, ვგრძნობდით, რომ უმთავრესი საფუძველი განათლების კეთილად წარმატებისა იყო უფლება სამშობლო ენაზე სწავლებისა, რადგანაც ის არის უმთავრესი პირობა საფუძვლიანი განათლებისა. მხოლოდ სამშობლო ენაზე სწავლა აღზრდის რიგიანად ახალს თაობას, რომელზედაც დამოკიდებულია ქვეყნის მომავალი და კეთილ-დღეობა.

«მაგრამ, სამწუხაროდ, ესრეთი სასურველი სისტემა განათლებისა განხორციელებული არ იქმნა, რადგანაც 1869 წელს გაიმარჯვა სრულიად წინააღმდეგმა შეხედულობამ სწავლა-განათლების საქმეზე. თუმცა ხელმწიფე იმპერატორის 1864 და 1866 წლის ბრძანება, რომლებმაც პოლშის ახალ-გაზრდობას სამშობლო ენაზე სწავლის უფლება მიანიჭა, გაუქმებული არ იყო კანონმდებელი წესით, მაგრამ მაინც საჭიროდ სცნეს პოლშური ენის განდევნა ყველა სასწავლებლებიდგან და უნივერსიტეტიდგანაც; დადგენილ იქმნა, რომ ყველა საგნები სახალხო სკოლებში უნდა ისწავლებოდეს რუსულს ენაზე.»

— 26-ს დეკემბერს გარდაიცვალა რუსეთის მწერალი და პოეტი ფედოროვი, რომელიც მწერლობაში ცნობილი იყო ომულევსკის სახელობით. განსვენებული მწერლობის ასპარეზზე გამოვიდა მე-60 წლებში და მუშაობდა სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებში; ყველა მის ნაწარმოებს სიმპატიური ხასიათი აქვს და ერთს მის რომანს თავის დროს დიდი გასავალი ჰქონდა. ომულევსკიმ მთელი სიცოცხლე სიღარიბესა და გაჭირვებაში გაატარა, რადგანაც პოეზია არ აძლევდა საკმაო სახსარს ცხოვრებისას. განსვენებული იმოდენად მტკიცე და მომთმენი ხასიათისა იყო, რომ თავის

ბისამებრ თვისისა, გამოთქვა სრულებით სხვა! ვინ იცი! მარტო ღმერთმა უწყის «კავკაზის» გზა და კვალი, რომელსაც ამ მიქცევ-მოქცევისათვის ბოროტი ენა უფერულობასა სწამებს.

**

მერე ვითომ ჩვენს დროში უფერულობა არა სჯობდეს?! ეხლა ქალებმაც კი დაანებს თავი ფერ-უმარილსა, და გაზეთ ხომ განათლებულთა ნალვაწია, იმას რად უნდა რაღაც ფერი, ან უმარილი. უმარილის მაგიერ, შეიძლება გამოამხოს შენს ნაწერებს ყოველი ნამცეცი მარილისა და მაშინ «უმარილოს» დაგირქმევენ გაზეთს, და უმარილი და უმარილო თითქმი ერთი და იგივე ასოებისაგან არიან შემდგარნი.

მაგრამ «კავკაზი» თუ უმარილოა, სამაგიეროდ პატარა მარილი შემოიტანა ჩვენებურს გაჩუმებულს რუსულ გაზეთებში «ახალმა მიმოხილვამ». ამ გაზეთის ჩვენ ერთობ დიდი იმედები გვქონდა და, ღმერთმა ქნას, ეს იმედები არ გაგვიცრუებოდეს. მანამდის კი არ შეგვიძლიან დავფაროთ ზოგიერთა მისი ახტომის შეშლა. იმ დღესა ვსთქვით, რომ გაზეთს თითქო პრეტენზიები აქვს თბილისის მწერლებში აღმოაჩინოს მონტესკიესა და ტურგენევისთანა ნიჭიერების პატრონები, რომელთაც არ გაუჭირდებათ აღიარონ თანამედროვე აზრები, რის თქმაც ვერ მოუხერხებიათ ნაკლები ნიჭის პატრონებს. ჩვენ ცოტა საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ დალოცვილს თბილისში იმალებოდენ ასეთი უნივერსალური გენიოსები. ამ გაზეთის მეხუთე ნომერში წავიკითხეთ ერთი გორული კორესპონდენცია, რომლის ავტორი თითქო იმედს იძლევა, რომ ეგებ ის იყოს მომავალი ვარსკვლავი ჩვენის რუსულის მწერლობისა. ერთხელაო ჩემი ხმა ჰქუხდა «ობზორის» ფურცლებზეო, მაგრამ ეს ხმა რჩებოდა «ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინაო». მოვიცადოთ, იქნება, მართლა მონტესკიემ ამ კორესპონდენტის ტყავში ამოყოს თავი. რა არა ხდება ქვეყანაზედ. მეორე ნომერში «ლიტერატურულ შენიშვნებმა» ხომ სულ ყველას ყბა დაგვაღებინეს: თითქო გულთამხილაობას ეხლავ მიუმხრია ახალი გაზეთიო. მართლაც, ვიღაც ბრძენი უსაყვედურებს «**Вѣстникъ Европы**»-ს: სულ პოლშის განაწილებაზედა სწერს ხსენებული ჟურნალიო. თითქო ეს საგანი სულ მუდამ ახალი და შემათრთოლებელი არ იყოს ყველა პატიოსანი გაზეთისა, თუ ჟურნალისათვის, თითქო ამაზედ წერამ ანუ კითხვამ მუდამ გულზედ ცეცხლი არ მოგიდოს! როგორც ატყობთ, ძალიან უსიამოვნოდ შეშლია გაზეთს ნახტომი. მისს მოვალეობას შეადგენს ბოდიში მოიხადოს საზოგადოების წინაშე ნაჩვენებ გულთმისნობაში, ანუ, როგორც შჩედრინი ამბობს, სტატისტიკობაში.

ერთი პატარა შენიშვნაცა და გათავდება ჩემი მატიანე. პირველ ნომერში ეს ნორჩი გაზეთი, ჩვენდა სასიხარულოდ, აცხადებდა: ყველა ხალხს ნება აქვს თავისუფლად ავარჯიშოს თავისი გენია, აქვს ნება თავისუფლად იცხოვროსო. ჩვენ ძალიან გვიამა, რომ გაზეთმა, თავის დაბადებითვე, დასტური დაგვცა—იცხოვრეთ, ნუ გეშინიანთო. ყველა ნაციამ უნდა იცხოვროსო, მაგ., სომხებმა, თათრებმა, ქართველებმა, იმერლებმა და სხვებმაო. ეს ძალიან კარგი დასტურია, მაგრამ ის კი მაგდენად არ მოასწავებს ჩვენის ხალხის ცოდნას, როდესაც თბილისის გაზეთსა ჰგონია, თითქო იმერლები შეადგენდენ ცალკე ნაციას და ქართველები ცალკეს. ჩვენ რომ მოგვსვლოდა ასეთი შეცდომილება თბილისში და გვეთქვა, რომ ნება აქვთ იცხოვრონ სხვა-და-სხვა ნაციებმა, მაგ., რუსებმა, მოსკოველებმა, არხანგელსკელებმა, ნოვგოროდელებმა და სხვა ყველა გუბერნიის და მაზრების «ნაციებმაო»,—ჰო, ჩვენ რომ გვეთქვა არამცთუ შუა რუსეთში, არამედ თვით მივარდნილს თბილისში,—ქვეყანა მასხარად აგვიგდებდა; და გაზეთმა, რომელიც თითონ თბილისში გამოდის და დანიშნულია აქაური მხრისათვის, არ იცის, რომ იმერლები და ქართველები შეადგენენ ერთს ნაციას. ბოლოს რომ გაზეთი ამბობს, «და სხვანიო»,—იქნება ამ «და სხვაში» გაზეთს უნდოდა ჩამოეთვალა კიდევ მრავალი «ნაციები», მაგ., გურულების ნაცია, მეგრელებისა, ჯავახელებისა, თუში-ფშავი-ხევსურებისა, ნაცია მაჩხაანისა, ბოდბის ნაცია, ვეჯინისა, კაკა-კოლაკისა, ზურჯაანისა, ფანიაანი-ოზაანი-ტიბაანი-მირზაანი-ანაგა-ლანჩხუთა-ცხრამუხისა და სხვა, და სხვანი! უჰ, ეს კი ძალიან ბევრი ნაციები მოგვივა, თქვენმა მზემ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭირვებას არავის არ უმსუბუქდა და გმირულად იტანდა ყოველს გვარს განსაცდელს. აი, ესრეთი კაცი, რომელმაც მთელი თავისი არსება და ძალ-ღონე საყვარელს სელობას, მწერლობას, შესწირა, გარდაიცვალა საშინელს, ძნელად წარმოსადგენს სიღარიბეში. სიკვდილის წინად ომულევსკი უნასავთ ამხანაგებს, რომლებიც სწერენ, რომ სიკვდილის დღეს განსვენებული იწვა ჭუჭყიანს ბოლზე; მცირე წლოვანი ბავშვები მომაკვდავი მამის ლოგინთან დაფორთხვდნენ. განსვენებულის ქონება, რაც კი მოიპოვებოდა მის სადგომში, აუწერიათ ცხრა თუმნის კალში და დაუფასებიათ მხოლოდ ექვს მანეთად. ომულევსკიმ დატოვა ცოლი და სამი ბავშვი, რომელნიც მოკლებულნი არიან ყოველს გვარს სახსარს ცხოვრებისას; სულ უმცროსი ბავშვი ჯერ ძუძუ-მწოვარია, უფროსი კი ჯერ ოთხი წლისაც არ არის.

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

5 იანვარს.

პეტერბურგი. გუშინ მოვიდა აქ მრჩეველი აქაური გერმანიის საელჩოსი, თავადი ბისმარკის შვილი.

ორენბურგი. გუშინ მოიტანეს აქ კუბოები, რომლებშიაც ასვენია დადუპული ამერიკელი ცეცხლის გემის «ჟანეტას» კაპიტნისა და მის თანამოდგაწეთა ნაშთნი.

ბერლინი. როდესაც დეპუტატთა პალატას წარუდგინეს პროექტი ახალთა გარდასახადთა შესახებ, მმართებლობის კომისარმა გამოაცხადა, რომ მმართებლობას უნდა უთუოდ დაადვას ხარჯი აქციონურ საზოგადოებათ და ბანკებს, და სწადიან აგრეთვე ზოგიერთა შეუძლებელნი წოდებანი სრულიად გაანთავისუფლოს გადასახდისაგან.

კაირი. სუდანში აჯანყებულებმა გზა გადუჭრეს სენაარში დაბანაკებულ ეგვიპტის ჯართა; ამასთანავე ნილოსით გასავალი გზაც შეუკრეს.

6 იანვარს.

პეტერბურგი. ოთხშაბათს ანიჩკინის სასახლეში წარმოდგენა იყო გამართული; ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა წარჩინებული საოპერანგეთის არტისტი კოკლენი.

გრაფი ლორის-მელიქოვი ძალიან ავად გახდა საოფლითა, ზედ ფილტვების ანთებაც დაერთო და ამან ეფრო გააძნელა ავადმყოფობა. გრაფს სწამლობს ბოტკინი.

გაზეთები იუწყებიან, რომ სახელმწიფო კონტროლთან ერთად წესდება საკუთარი კომისია ახალი რევიზიის წესის შესამუშავებლად იმის შესახებ—თუ როგორ უნდა შემოწმდეს პროცენტებისა და თავნის გადახდის საქმე სხვა და-სხვა სესხებისა.

ზაგრები. ხორვატიის სეიმის უმეტესობამ დაადგინა: გამოირიცხონ მთელი სესიის განმავლობაში ის დეპუტატები, რომელნიც რვა დღით იყვნენ გამორიცხულნი ურიგობისთვის, მაგრამ კიდევ ახდენენ უწესობას. ეს ზომა მიმართულია ნაციონალური დასის მიერ სტარჩევიჩის და სხვა რადიკალების წინააღმდეგ.

ვენა. მუშა სოციალისტების მანიფესტაციის გამო, რომელიც გამოიწვია ერთს ეკლესიაში სოციალიზმის წინააღმდეგ ქადაგებამ, ერთს მანიფესტაციაში მონაწილობის მიმღებს გადაუწყვიტეს 4½ და ორსაც 3½ წლით ციხეში დამწყვდევა

მოსკოვი. სკოპინის ბანკის საქმე მოსკოვის სამოსამართლო პალატამ სენატში შეიტანა ზოგიერთა კითხვების ასახსნელად და ამის გამო ამ საქმის გარჩევა სამოსამართლო პალატაში მაისამდინ არ იქნება.

პროკურატურას პროტესტი შეაქვს ნათიცთა სამსჯავროს განაჩენზე მელნიკების საქმის შესახებ.

უკანასკნელს ტირაჟში გამოსული 75,000 მან. მოსკოვის ჩითეულობის ფაბრიკანტს დუნაევს ერგო.

ხარკოვი. დღეს გაიხსნა ოფიციალურად წყალ-კურთხევის იარმარკა, თუმცა ვაჭრობა 2 იანვრიდგან დაიწყო. საქონელი, განსაკუთრებით მანუფაქტურისა, ბევრი მოიტანეს, მაგრამ დიდს ვაჭრობას არ მოელიან.

მადრიდი. მინისტრების აზრით ეხლანდელი საქმეთა მდგომარეობა ისეთი არ არის, რომ სამსახურს თავი დაანებონ; იმათ უნდათ მხოლოდ ურჩიონ მეფეს კორტესები დაითხოვოს.

გოლ-კონგი. კანტონის მთავრობას ინგლისელებმა მოსთხოვეს თავი დაენებებინა მდინარის შეკვრისთვის და იმათაც თავი დაანებეს.

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

შაღარეთ ჩვენი ჩაი		მოსკოვის ჩაიკ	
1 მ. 10 კ.		1 მ. 40ს	
— — 1—20		— — 1—60	
— — 1—40		— — 1—80	
— — 1—60		— — 2—	,,
— — 1—80		— — 2—50	
საუკეთესო 2—	,,	— — 3—	,,

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავატები, ბურჭეები, ჩიადნები, გასაღებები, დანები, ეოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კელონკა, წინდები—კაცის და ქალის, სელ-სასოტები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ეკვლავფერი 25-დან 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაზავნს არაფერს არ ისდის. (100—84)

საპონი.

გლიცერინისა, ნუშისა, ვარდისა, კორბოლოვისა, დატუშისა, ბრინჯისა და სხვა ბევრი ინგლისის მაღაზიაში. იქვე ოდეკოლონი და სხვა ტუალეტის კუთვნილებანი 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. (12—9)

მშვენიერი ფუჩუ-ფუჩაი ამ წლის ბოლომდის იყიდება რვა აბაზად.

ინგლისის მაღაზიაში.

ნუ მისცემთ 2 მან. 20 კაპ. ან 2 მან. 40 კაპ. უარესს ჩაიში სხვაგან.

იქვე იყიდება ხელოვნური ყვავილები მინის ხუფებით, ლამპა, ქუდები, დრატვა, ტრიკო და სხვა მრავალი საქონელი ნახევარ ფასად. (18—11)

იანვრის 15-ს 1884-ს წელს

ბ. ა. მ. მოხევის ბენეფისად

წარმოდგენილი იქნება ქართული

დრამატიული დასისგან

წამება ქეთევან დედოფლისა

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად

7-ს სურათად ა. მოჩხუბარიძისა.

ამ წარმოდგენისთვის მზადდება ისტორიული ტანისამოსები და დეკორაცია.

ბილეთების მსურველთ წინადვე შეუძლიანთ აიღონ არწრუნის თეატრის კასაში. (10—4)

რადგან ვსპობთ ვაჭრობას სასმელებით და სხვათა საქონლით, ამისათვის არა ჩვეულებრივის სიიაფეთ ვყიდით: განიაგს, ბორტვეინს, ხერესს, შამპანიის ღვინოს და სიგარებს ლონდონის მაგაზინში კამერციულ ბანკის ქვეშ. (10—9)

რკინაზედ ფასების დაკლების გამო, ყოველ გვარი რკინის კრაოტები 10% ნაკლებ ისყიდება. ინგლისის მაღაზიაში უამისოდაც 25% ნაკლებ ვყიდვით სანამ სხვა სავაჭრო სახლებში ჩვენზე მეტი დიდ-ძალი უპირველესი სორტის ფუჩუ-ფუ ჩაი, 1-ლი მოკრეფისა. ბირვ. 2 მ. წმინდა ჩაი, უქალაქოთ. ამ ჩაისა სხვა მაღაზიებში ყოველგან ისყიდება 3-მის მანეთიდგან 4-ს მანეთამდინ. რადგანაც ტანისამოსის ვაჭრობას ვსპობთ—ქალების დოლმანები და სხვა ტანისამოსები ისყიდება 20% ნაკლებ. (10—3)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილთა ყრმათათვის, წიგნი პირველი, ი. გოგებაშვილის redakciiით, გამოვიდა სტამბიდგან და ისყიდება გამომცემლის გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში. ფასი ორი აბაზი; ათი ეგზემპლიარის მყიდველს წიგნი დაეთმობა 33 კაპეიკად. —

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილთა ყრმათათვის, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, ისყიდება იქვე; ფასი ექვსი შაური; ათი ეგზემპლიარის მყიდველს წიგნი დაეთმობა ოთხ შაურად.

კარტა საქართველოსი, გამოცემა მეორე, შედგენილი მისგანვე, ყიდება იქვე,—ფასი სამი აბაზი; ათი ეგზემპლიარი მყიდველს კარტი დაეთმობა ათ შაურად.— (10—4)

საგლობუსო კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ოქროს „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რეზინები, ლაქი, კარანდაში, ფენაბი, კალმები, ბუმაგნიკები, ბორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სახეთები, სალესი, ტარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა სალესი იტალიასათვის კლიონკები. ტახტები, საკარძლები, სარკეები, საკარტლები, ბეზმენნი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზეს-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, ბოლოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, ბრობკები, საბრობკები, კრანები ფილტრები, შოტკები, თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმეობ ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—13)

განცხადებანი

მსურს ვიყიდო იაფი ფასის

მამული

ქახეთში. მამულს უნდა ჰქონდეს: წყალი, კარგი სანადირო და თბილი, ჯანმრთელი ჰავა. ადრესი: ბრანდოტელი, № 16, დილის 10 საათიდამ 12 საათამდე. (3—3)

Довз. цензур. Тифлисъ, 7 Января 1884 г. ეკ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. redakტორი ი. მაჩაბელი.